წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **გიორგი დარსალია.**
თანამდებობის დასახელება - **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.**
ფრაქციის დასახელება- **საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის".**
კომისი(ებ)ის დასახელება- **საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია.**
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -**პროპორციული.**
საანგარიშო პერიოდი 2022 წლის - **2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ოქტომბრამდე.**
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ **რიგითი**

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:
1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა -23
საკრებულოს სხდომებზე დასწრება ___ 22

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 15
კომისიის სხდომებზე დასწრება _____14
3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _ 12
ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____ 5

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესახებ;
- შესყიდვების გეგმის შესაბამისად, 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ;
-გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;
-საკრებულოს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში (იჯარით) აუქციონის ფორმით - გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში)არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
-შპს „ენგურჰესთან" დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე;
-და სხვა საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _ 20 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა-215;

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები - წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, საავტომობილო და შიდა სასოფლო გზების შეკეთება, სანიაღვრე არხების მოწყობა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, სოფლებში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოების დაჩქარება და სხვა...

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოსახლეობასთან შეხვედრებზე წამოჭრილი ყველა საკითხი განხილულიქნა კომისიების ერთობლივ სხდომებზე, საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას, ნაწილზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება, სხვა პრობლემების გადასაწყვეტად გრძელდება მუშაობა...

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების განხორციელებასთან ერთად, როგორც ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ წევრი აქტიურად ვარ ჩართული ფრაქციის მუშაობაში. მონაწილეობას ვღებულობ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში.

შევსების თარიღი _ 28/10/2022წ.

წარდგენის თარიღი _ 28/10/2022წ.

ხელმოწერა